თემა 4

მისალმება

Приветствие

ამოცანები:

- ვასწავლოთ ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლეებს მისალმება და მოკითხვა.
- ფოკუსირება კითხვით სიტყვაზე - როგორ?
- პასუხები კითხვაზე: როგორ ხარ? - კარგად, ცუდად, არა მიშავს.

გაკვეთილის თემა:

დილაა და მოსწავლეები სკოლაში მიდიან. ლიზა და სალი ერთმანეთს ესალმებიან. გიორგი და თომაც ერთმანეთს ესალმებიან.

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები
• კეთილი • დილა • როგორ • შენ • კარგად • მადლობა • დღეს	• დილა მშვიდობისა ლიზა. • გამარჯობა, სალი. • როგორ ხარ? • კარგად, მადლობა. • გამარჯობა თომა. • გამარჯობა გიორგი. • როგორ ხარ თომა?

თამაში მისალმება

დასვით მოსწავლეები წრიულად და აიღეთ ბურთი. ჰკითხეთ მთელს ჯგუფს: „როგორ ხართ?“ მოსწავლეებმა უნდა გიპასუხონ: „მადლობა, კარგად“. გაამეორებინეთ სამჯერ ან ოთხჯერ მისალმება ერთდროულად. ახლა გაუგორეთ ბურთი ერთ-ერთ ბავშვს და ჰკითხეთ: „როგორ ხარ?“ დაეხმარეთ, რომ გიპასუხონ: „მადლობა, კარგად“. ბავშვი ბურთს უკან გამოგიგორებთ. ასე გაიმეორეთ ყველა მოსწავლესთან. ეს აქტივობა შეგიძლიათ 8 ბავშვიან ჯგუფში გააკეთოთ. სხვა მხრივ მოსაბეზრებელი გახდება. უფრო დიდ ჯგუფში მოსწავლეები წრიულად, მაგრამ წყვილებში დასვით. ისინი ერთმანეთს ხელებს გადააჭდობენ და ერთმანეთს ბურთს გაუგორებენ. ბავშვები ერთობლივად უპასუხებენ მისალმებას, ეს ხერხი გაანახევრებს სავარჯიშოს შესრულების დროს.

კარტები-ნახატები:

1. მისალმების სცენები (ბავშვები ესალმებიან ერთმანეთს,
2. ბავშვი ესამება უფროსს;
3. მასწავლებელი შემოდის კლასში და ბავშვებს ესალმება.